დანართი №2

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: მსოფლიო განათლებს აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 425060827

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №185985 საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" დამატების ფარგლებში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 24 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს მსოფიო განათლების აკადემიაში, მისამართზე: ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა No24.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დამფუძნებელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.

ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3. მიზანშეწონილია აკადემიამ მუდმივად იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა რეგულარულ ტრენინგებსა და პროფესიულ გადამზადებებში, რათა გაზარდოს სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდეს შეფასების პრაქტიკა და დაიცვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის მაღალი დონე.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფს გამოეგზავნა შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2026 წლის 2 აპრილის №2557 წერილი, რომლითაც დასტურდება დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის გაცნობა და ექსპერტთა შეფასებაზე თანხმობა.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01-01-002, 14.02.2025, ცვლილება N1-01-001 26.01.2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი შოთა რუსთაველის ქუჩა №24;
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	225
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ რეგულირდება 2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანების დანართით დამტკიცებული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პროგრამების განვითარების პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულობას, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან.

დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამის ინიცირება ეფუძნება დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობას, რაც მოიცავს ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს. ინიციატორის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება სავალდებულოდ მოიცავს შრომის ბაზრის მოთხოვნების, დასაქმების პერსპექტივებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

გეოგრაფიული რელევანტურობის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსისა და მიზნების შესაბამისობას რეალურ ეკონომიკურ საჭიროებებთან.

პროგრამის მიზანშეწონილობის განსაზღვრის პროცესში აკადემია იყენებს როგორც პირველადი, ისე მეორეული მონაცემების ანალიზს, მათ შორის: შიდა და გარე შრომის ბაზრის კვლევებს, დამსაქმებელთა უკუკავშირს, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგებს, რეგიონული განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს, ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებსა და დასაქმების პლატფორმების მონიტორინგს. აღნიშნული მრავალწყაროიანი მიდგომა უზრუნველყოფს დასკვნების სანდოობასა და ობიექტურობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აკადემიის მიერ ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მაღალი ინტერესისა და მოთხოვნის არსებობას. აღნიშნული შედეგები წარმოადგენს პროგრამის ინიცირების მნიშვნელოვან რეგიონულ დასაბუთებას და მიუთითებს, რომ პროგრამა პასუხობს არა მხოლოდ ზოგად, არამედ ლოკალურ შრომის ბაზრის საჭიროებებს.

წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ Junior Front-End Developer (React) სპეციალობაზე მოთხოვნა მაღალი, სტაბილური და მზარდია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. 2025 წლის დასაქმების საერთაშორისო პლატფორმების მონაცემების მიხედვით, საქართველოში ერთდროულად ფიქსირდება მნიშვნელოვანი რაოდენობის აქტიური ვაკანსიები: LinkedIn-ზე დაახლოებით 250 პოზიცია, Indeed-ზე 50-ზე მეტი React მიმართულებით, Glassdoor-ზე 107 ვაკანსია, ხოლო Adzuna-ზე 1,500-ზე მეტი ვაკანსია (მათ შორის დუბლირების შესაძლო შემთხვევებით). აღნიშნული მონაცემების შეჯამება მიუთითებს, რომ ბაზარზე ერთდროულად არსებობს რამდენიმე ასეულიდან ათასზე მეტი მოთხოვნა, რაც ადასტურებს კვალიფიციური კადრების დეფიციტს.

დამატებით, ანაზღაურების მაჩვენებლები (საშუალოდ $104,000 – $126,000, მაქსიმუმი $160,000+) მიუთითებს, რომ აღნიშნულ სფეროში მაღალი ანაზღაურება პირდაპირ კავშირშია მოთხოვნის სიჭარბესთან და კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტთან. ეს გარემოება ზრდის პროფესიის მიმზიდველობას და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს.

გლობალური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ Front-End დეველოპერებზე მოთხოვნა საშუალოდ 15%-ით იზრდება ყოველწლიურად, ხოლო React დეველოპერების ვაკანსიების რაოდენობა ბოლო წლებში სტაბილურად შენარჩუნებულია 50,000+ აქტიური ვაკანსიის დონეზე (2020 – 40,000+, 2021 – 55,000+, 2022 – 70,000+, 2023 – 60,000+, 2024–2025 – 54,000+). აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს სფეროს მდგრადობასა და გრძელვადიან პერსპექტივაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილია კონკრეტული დამსაქმებლების – ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, კურორტ „საირმისა“ და შპს „დინასტიის“ წერილები, რომლებიც ადასტურებს Junior Front-End Developer სპეციალისტებზე მოთხოვნას. დამატებით, აღნიშნულ ორგანიზაციებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობას. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს არა მხოლოდ მოთხოვნის არსებობაზე, არამედ დასაქმების რეალური შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, რაც პროგრამის პრაქტიკულ ღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის.

პროგრამის დაგეგმვა და განვითარება სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და 2024–2031 წლების სტრატეგიულ გეგმასთან, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე, რეგიონული განვითარების მხარდაჭერაზე, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდაზე. ამასთან, დადასტურებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების არსებობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.

პროგრამის მიზანშეწონილობის შეფასების პროცესში გათვალისწინებულია რისკებისა და სარგებლის კომპლექსური ანალიზი, მათ შორის: შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, დასაქმების პერსპექტივა, რესურსების საკმარისობა, ინფრასტრუქტურული მზაობა და ფინანსური უზრუნველყოფა, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის განხორციელების საფუძვლიანობას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტური საფუძვლის, კვლევითი მონაცემებისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება სისტემურად, მტკიცებულებებზე დაფუძნებით და სრულ შესაბამისობაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამა არის მკაფიოდ დასაბუთებული, მიზანშეწონილი და მდგრადი, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მაღალ დასაქმებადობას და კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, რაც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას-შეფასდა შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - Front-end დეველოპმენტი დაშვების წინაპირობაა -სრული ზოგადი განათლება. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები რეგულირდება შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანებით(ცვლილებით N1808 05.03.2026წ) დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესი“. აღნიშნული წესი სრულად არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის: პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებს; აპლიკანტთა რეგისტრაციისა და შერჩევის წესებს; გასაუბრებაში და/ან ტესტირებაში მონაწილეობის პირობებს; აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და მობილობის წესებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვისა და ზღვრული ოდენობის დადგენის პრინციპებს.

მუხლები 22, 23 და 24-ის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება წინასწარ გაწერილი, სისტემური და მრავალფაქტორული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

დაწესებულება სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს სასწავლო გარემოების (A, B და C), პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების, ასევე ადამიანური და ფინანსური რესურსების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სამუშაო ადგილის არსებობას, საჭირო ინვენტარისა და აღჭურვილობის საკმარისობას, ასევე სასწავლო სივრცეების გამტარუნარიანობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

1. ადამიანური რესურსი

• პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა.

2. A სასწავლო გარემო – თეორიული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცე

სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:
ა) თითოეულ სტუდენტზე სამუშაო ადგილის არსებობა;
ბ) პროგრამით განსაზღვრული ინვენტარისა და აღჭურვილობის საკმარისი რაოდენობა.

3. B სასწავლო გარემო – კომპიუტერული კლასი

სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჯგუფის საერთო კონტინგენტის შესაბამისად, იმ პირობით, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობის შესაძლებლობა.

4. C სასწავლო გარემო – პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცე

სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია:
ა) თითოეულ სტუდენტზე სამუშაო ადგილის არსებობა;
ბ) სასწავლო გარემოს საკმარისი ფართი თითოეულ სტუდენტზე;
გ) პროგრამით განსაზღვრული ინვენტარისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა.

ამასთან, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში დამატებით გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები, სტუდენტთა და ინსტრუქტორთა ოპტიმალური თანაფარდობა, პროგრამის მოთხოვნადობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და დაწესებულების განვითარების პერსპექტივები. ასევე გამოიყენება სასწავლო პროცესის ორგანიზების მოქნილი მექანიზმები, როგორიცაა ორცვლიანი სწავლება და ეფექტიანი სასწავლო განრიგი.

აკადემია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვლისწინებს არსებული რესურსების შესაბამისობას დაგეგმილ კონტინგენტთან და თითოეული სტუდენტის სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება აკადემიის დირექტორის მიერ, სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის დასაბუთებული ანგარიშის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შედეგად, დაწესებულებაში დანერგილი მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ოპტიმალურ დაგეგმვას და ქმნის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების მყარ საფუძველს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - შეფასდა შესაბამისად.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (დანართი №3 – „მატერიალური რესურსი), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები სრულად არის თანხვედრაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით. არსებული რესურსები სრულად პასუხობს პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს და ქმნის პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მისაღწევად.

დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის სისტემურ მიწოდებას, ასევე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა, შესაბამისობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - შეფასდა შესაბამისად.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - შეფასდა შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“.

აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სიცოცხლის ციკლის ყველა ძირითად ეტაპს და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- **მუხლი 2.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა;
- **მუხლი 3.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- **მუხლი 4.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება და განხორციელების უფლების მოპოვება;
- **მუხლი 5.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ცვლილებების განხორციელება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი პროცედურების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება განხორციელებულია აღნიშნული წესით განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი“ დამტკიცებულია შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №01-01-002 ბრძანებით (ცვლილება N1-01-001 26.01.2026)

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - შეფასდა შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „Front-end დეველოპმენტი“ – საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ასახავს პროგრამის შინაარსსა და მიზანს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში**.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - შეფასდა შესაბამისად.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“.

აღნიშნული დოკუმენტის **მუხლი 3 – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“** განსაზღვრავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „Front-end დეველოპმენტი“ – საფუძველზე, ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნათა სრული დაცვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა ძირითადი დოკუმენტი, მათ შორის:

- შესაბამისი მოდულები;
- სასწავლო გეგმა;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსებზე;
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკურ და სასწავლო რესურსებზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მასში ინტეგრირებული მოდულები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული, ადაპტირებულია დაწესებულების შესაძლებლობებთან და უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განხორციელებას. პროგრამა ასევე მოიცავს ქართული ენის მოდულს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის მისია;
- მსოფლიო განათლების აკადემიის 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესი“.
- დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“.
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №01-01-002 ბრძანებით (ცვლილება N1-01-007 17.03.2026) დატკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა “Front-end დეველოპმენტი“
- დანართი №3 – „მატერიალური რესურსი“;
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა – 225, რაც შეესაბამება დაწესებულების ინფრასტრუქტურულ, ადამიანურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აღწერილობის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო გარემოები: სამი A ტიპის და სამი B ტიპის აუდიტორია, რომელთაგან თითოეული გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე. B ტიპის სასწავლო გარემოები დამატებით უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკისთვის. ყველა სასწავლო სივრცე სრულად არის აღჭურვილი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილისთვის საჭირო ინვენტარითა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელი რესურსებით.

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შერეულ მოდელში (პირისპირი და დისტანციური სწავლება), თუმცა არსებული ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას პირისპირ ფორმატშიც, რაც ზრდის პროცესის მოქნილობასა და მდგრადობას. ადგილზე დაგეგმილია ორი ზოგადი მოდულის – „უცხოური ენა“ და „პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები“ – განხორციელება, ხოლო სწავლის შედეგების დადასტურება სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების სასწავლო გარემოში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის 16 დეკემბრის №1265 ბრძანება (ცვლილება №791, 05.02.2026), რომელიც არეგულირებს პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესსა და პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დისტანციური სწავლების მარეგულირებელ შიდა ნორმატიულ აქტს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის სისტემურ, თანმიმდევრულ და ხარისხზე ორიენტირებულ წარმართვას. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული დისტანციური სწავლების სამართლებრივი, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მათ შორის სწავლების ფორმები, პროგრამის კომპონენტების განხორციელების წესები, სტუდენტთა უფლებები, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, პროცესის ეტაპები, მეთოდოლოგიური სტანდარტები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

აკადემიის მიერ წარმოდგენილია ელექტრონული სასწავლო პლატფორმა „PORTAL.WEAEDU.GE“, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულ ციფრულ ინტეგრაციას. პლატფორმა იძლევა როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შესაძლებლობას, რაც ზრდის სწავლების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას. სისტემაში ინტეგრირებულია სასწავლო მასალები, ვიდეორესურსები, დავალებები, შეფასებისა და უკუკავშირის ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვასა და მონიტორინგს. ტექნიკური თვალსაზრისით, პლატფორმა არის სტაბილური, ადაპტირებულია სხვადასხვა მოწყობილობაზე და უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. დამატებით გამოყენებულია „Zoom"-ის პლატფორმა სინქრონული ონლაინ სწავლებისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული სწავლების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ერთიან ციფრულ გარემოს დისტანციური და შერეული სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის. სისტემა მოიცავს როგორც ადმინისტრაციული, ისე საგანმანათლებლო პროცესების მართვის ფუნქციონალს და უზრუნველყოფს პროცესში ჩართული მხარეების ეფექტიან კომუნიკაციასა და კოორდინაციას. პლატფორმა მომხმარებელზე ორიენტირებულია, უზრუნველყოფს მარტივ ნავიგაციას და სასწავლო რესურსების სრულ ინტეგრაციას.

გარდა ამისა, წარმოდგენილია პლატფორმის (PORTAL.WEAEDU.GE) გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც დეტალურად არეგულირებს ავტორიზაციის პროცესს, მომხმარებლის პროფილის მართვას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, კომუნიკაციას, შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს, ხარისხის მონიტორინგსა და მხარდაჭერის სერვისებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პლატფორმის ერთგვაროვან, გამჭვირვალე და ეფექტიან გამოყენებას.

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია რაციონალური ლოჯისტიკური მოდელის საფუძველზე. ერთ მიღებაზე გათვალისწინებულია 125 პროფესიული სტუდენტის მიღება, რომლებიც გადანაწილებულია 5 ჯგუფად (თითოეულში 25 სტუდენტი). არსებული ინფრასტრუქტურა ერთ ცვლაში უზრუნველყოფს 75 პროფესიული სტუდენტის ერთდროულ ჩართულობას, ხოლო დანარჩენი ჯგუფებისთვის სწავლება ხორციელდება მეორე ცვლაში. ცვლებს შორის გათვალისწინებულია დროითი ინტერვალები, რაც უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებლობასა და სივრცეების ეფექტიან გამოყენებას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ოპტიმალურ გადანაწილებას. პროფესიული მასწავლებლების საკმარისი რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლების პარალელურ განხორციელებას გადატვირთვის გარეშე.

სასწავლო გეგმით განსაზღვრული დატვირთვა (მაქსიმუმ 30 საათი კვირაში, 5 სამუშაო დღეზე გადანაწილებით) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას. დამატებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ალტერნატიული ორგანიზების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გადანაწილებას 4 სამუშაო დღეზე (დარგობრივი მოდულებისთვის კვირაში 16 საათი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ხოლო ზოგადი მოდულებისთვის – 6 საათი). აღნიშნული მიდგომა ზრდის პროგრამის განხორციელების მოქნილობას და იძლევა შესაძლებლობას ეფექტიანად გადანაწილდეს როგორც დროითი, ისე ინფრასტრუქტურული რესურსები.

ამასთანავე, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ალტერნატიულ ფორმატში ორგანიზებას, რაც მოიცავს ქვეჯგუფებად გადანაწილების მოდელის გამოყენებას, შერეული სწავლების კომპონენტის გაძლიერებას, სასწავლო პროცესის დროითი გადანაწილების ოპტიმიზაციას და ელექტრონული პლატფორმის რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. აღნიშნული ალტერნატიული მიდგომები უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობას სხვადასხვა ოპერაციულ პირობებში და ამცირებს შესაძლო რისკებს.

დისტანციური და შერეული სწავლების მოდელის გამოყენებით დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ერთდროულად უზრუნველყოს 225 პროფესიული სტუდენტის ჩართულობა. სწავლება ორგანიზებულია ქვეჯგუფების დონეზე, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დროითი და ინფრასტრუქტურული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საკმარისი, ადეკვატური და მდგრადი ინფრასტრუქტურული, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესის ორგანიზება არის ლოგიკურად გამართული, ეფექტიანად დაგეგმილი და სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არის რეალისტური, ეფექტიანი და სრულ შესაბამისობაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან, როგორც დისტანციური, ისე პირისპირ სწავლების ფორმატში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - შეფასდა შესაბამისად.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენი განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის: 10 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 7 - ზოგადი მოდულების.

თითოეული პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - შეფასდა შესაბამისად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმრავლესობა პროფესიული მასწავლებლებისა სრულად აკმაყოფილებს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის საჭირო მოთხოვნებს: მათი განათლება, სამუშაო გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები შეესაბამება აკადემიის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო სტანდარტებს.

გასაუბრების პროცესმა აჩვენა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტიანად განახორციელონ სასწავლო პროცესი და შეფასება. ეს კომპეტენციები დადასტურებულია შესაბამისი კვალიფიკაციით, დარგობრივი გამოცდილებით, აღნიშნული მოდულების განხორციელების პრაქტიკითა და გავლილი ტრენინგებით.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პროფესიულ მასწავლებელს არ ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ახალი განმახორციელებლების აყვანის შემდეგ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა და პროგრამის ხელმძღვანელმა მათ ჩაუტარეს შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია აკადემია მუდმივად ზრუნავდეს პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა რეგულარულ ტრენინგებსა და პროფესიულ გადამზადებებში, რათა გაზარდოს სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდეს შეფასების პრაქტიკა და დაიცვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის მაღალი დონე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - შეფასდა შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დამატებით, განხორციელდა ხელმძღვანელთან გასაუბრება, რათა შეეფასებინა მისი პრაქტიკული გამოცდილება და ჩართულობა სასწავლო პროცესის მართვაში.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს ხელმძღვანელის შესაბამის კვალიფიკაციას, პროფესიულ გამოცდილებასა და კომპეტენციას, რომელიც საჭიროა პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებში, მათ შორის:

1. კალენდარული გეგმების შემუშავება – უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობას და დროითი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას;
2. შესაფასებელი ინსტრუმენტების ვალიდაცია – აქტიურად აკონტროლებს შეფასების სიზუსტეს და მის შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან;
3. სასწავლო მასალებისა და ნედლეულის დაგეგმვა – უზრუნველყოფს პროგრამის მომზადების საჭირო რესურსებით სრული უზრუნველყოფას;
4. სასწავლო პროცესში მართვის პრაქტიკული ჩართულობა – ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს როგორც კურსდამთავრებულთა, ისე პროფესიული სტუდენტების სასწავლო აქტივობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

საერთო შეფასებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად შეესაბამება „Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის განხორციელების საჭირო კვალიფიკაციურ და პრაქტიკულ მოთხოვნებს. მისი ჩართულობა სასწავლო პროცესის ყველა მნიშვნელოვან ეტაპში უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ და სტანდარტების შესაბამის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - შეფასდა შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იქნა შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №019 ბრძანებით დამტკიცებული საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დოკუმენტში განისაზღვრულია ყველა საკვანძო მექანიზმი და პროცედურა, მათ შორის:

- მუხლი 5–6 – საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა და დამუშავება;
- მუხლი 9–10 – საბიბლიოთეკო სერვისების მართვა და სასწავლო რესურსებთან სსსმ/შშმ პირების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მუხლი 11–13 – ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, წევრობის შეწყვეტა, რესურსების გატანა და დაბრუნება;
- მუხლი 14–16 – ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, მკითხველის უფლებები და ვალდებულებები;
- მუხლი 17 – საბიბლიოთეკო მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და რესურსების განვითარება.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა:

1. ბიბლიოთეკის ფიზიკური დათვალიერება, სადაც დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის სივრცე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭირო ინფრასტრუქტურას, მათ შორის სამკითხველო ადგილებს, ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსების წვდომას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს რეგულაციების საჯაროობას და სტუდენტთა ინფორმირებულობას;
3. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის შემოწმება, მათ შორის:
    - ნაბეჭდი რესურსები;
    - ელექტრონული რესურსები, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით;
4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ავტორიზებული წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობის და რეგულარული ბაზის ეფექტიან გამოყენებას;
5. პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობა მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ ბიბლიოთეკის კომპიუტერებითა და სამკითხველო სივრცით;
6. ბიბლიოთეკარში უზრუნველყოფილია კვალიფიციური ბიბლიოთეკარის მომსახურება, რაც ხელშემწყობია ინფორმაციის მოძიებისა და რესურსების გამოყენების პროცესში;
7. აკადემიას გააჩნია ხელშეკრულება ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან – OpenBiblio, რაც უზრუნველყოფს დამატებითი ელექტრონული რესურსების წვდომას;
8. ბიბლიოთეკის სივრცე, რესურსები და სისტემა სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ სწავლების საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების სწრაფ, ხარისხიან და ეფექტურ სწავლებას.

ექსპერტთა შეფასებით: ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სრულ ინფრასტრუქტურულ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რაც საშუალებას იძლევა პროგრამა განხორციელდეს ხარისხიანად, შესაბამისობაში აკადემიის საბიბლიოთეკო წესებთან, სასწავლო მიზნებთან და თანამედროვე ელექტრონულ პლატფორმებთან ინტეგრაციასთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - შეფასდა შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანების დანართით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“, რომლის მუხლი 20 და მუხლი 21 არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების საკითხებს.

აღნიშნული რეგულაციების საფუძველზე, შპს „მსოფლიო განათლების აკადემია“ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შშმ პირების სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. კერძოდ, დებულება ითვალისწინებს, რომ ასეთ შემთხვევებში სავალდებულოა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, თავად პროფესიული სტუდენტი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლების, შეფასებისა და ადმინისტრირების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ადაპტირებას.

ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეთანხმდება პროფესიულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის დირექტორს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას.

შედეგად, აკადემიაში დანერგილი მექანიზმები ქმნის თანასწორ, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც სსსმ და შშმ პირებს აქვთ შესაძლებლობა, მიაღწიონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს მათზე მორგებული პირობების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ რენტაბელობის ზღვარი შეადგენს - 15 პროფესიული სტუდენტი (1ჯგუფი 25 სტუდენტი). ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამისთვის შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, პროგრამის განვითარების ხარჯი(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ტრენინგების, სტუდენტთა ღონისძიებების და სხვა ხარჯები), კომუნალური ხარჯი, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, ნედლეული და მასალა, და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება.
- დანართი 2 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანების დანართით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“;
- შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №019 ბრძანებით დამტკიცებული საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დაწესებულებაში მოქმედებს შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ 2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანების დანართით დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძვლებსა და მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

წესის მიხედვით, აკადემიის ინიციატივით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას და ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციასა და ანალიზს, მათ შორის: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს; პროფესიული სტუდენტების შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების შედეგებს; სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულ ცვლილებებს ან ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვას; ახალი საგანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირებას; პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროფესიული განათლების მასწავლებელთა დამატებას, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის პირდაპირი მეთოდებით (პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესწავლა და შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდებით (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა). მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამაში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რასაც მოსდევს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა. შემდგომ ეტაპზე რეკომენდაციები ხორციელდება აკადემიის შიდა აქტებით განსაზღვრული პროცედურებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები დეტალურად განსაზღვრულია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დოკუმენტებში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - შეფასდა შესაბამისად.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებაში პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების განხორციელების პროცესი რეგულირდება შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ შიდა დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესით“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის, ცვლილებების ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურებს. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ეფუძნება ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

უზრუნველყოფის მექანიზმებით მიღებული მონაცემების ანალიზს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილ საჭიროებებს. ცვლილებების ინიცირება ხდება შესაბამისი სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რასაც თან ერთვის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი. ცვლილებების აუცილებლობის შესახებ დასკვნას ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ იღებს აკადემიის დირექტორი.

აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების სისტემურ ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელებას დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის No008 ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“;
- გამოკითხვისა და ვერიფიკაციის ფორმები.
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front-end დეველოპმენტი“ პაკეტს თან ერთვის სასწავლო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში მოდულები განთავსებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ხოლო კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია ისე, რომ შესაძლებელი იყოს განმეორებითი შეფასების განხორციელება. სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ექსპერტთა ჯგუფმა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end" დეველოპმენტი სასწავლო პროცესის ორგანიზება. დადგინდა, რომ სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას აღინიშნა შემდეგი:

1. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება:
   - სასწავლო ცხრილების შედგენა და ჯგუფების დაკომპლექტება ხდება სტუდენტების საჭიროებებისა და სასწავლო მოთხოვნების გათვალისწინებით;
   - საკომუნიკაციო საშუალებების შერჩევის პროცესში სტუდენტების შესაძლებლობები აქტიურად ჩართულია, რაც ზრდის ინფორმირებულობას და სასწავლო პროცესში ჩართულობას.
2. სასწავლო გეგმების დინამიურობა:
   - საჭიროებისამებრ ხორციელდება სასწავლო გეგმებში ცვლილებები;
   - უზრუნველყოფილია აკადემიური წინსვლის ხელშეწყობა დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების მეშვეობით.
3. დისტანციური სწავლება და შეფასება:
   - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლება და შეფასება სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის საშუალებებით;
   - თუმცა, შედეგების დადასტურება უზრუნველყოფილია ფიზიკურად კოლეჯში, რაც ასახელებს აკადემიური სანდოობის და მართვის მაღალი სტანდარტების დაცვას.
4. დამატებითი მხარდაჭერა:
   - კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ტრანსპორტირებას, რაც ხელს უწყობს ფიზიკურად დასწრებაზე დაფუძნებული შეფასების სრულყოფილ განხორციელებას;
   - სასწავლო პროცესის პარალელურად, პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსი — როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **"Front-end" დეველოპმენტი** უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას თანამედროვე სასწავლო მეთოდების და დარგში აქტიურად გამოყენებულ ტექნოლოგიების საფუძველზე. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ინტერაქტიული პრაქტიკული აქტივობები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, დისტანციური პლატფორმები და ელექტრონული სასწავლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, ცოდნის სწრაფი ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესში დისტანციური სწავლება ხორციელდება Portal.weaedu.ge პლატფორმის მეშვეობით, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სინქრონულ და ასინქრონულ წვდომას სასწავლო მასალებზე, ვიდეომასალებზე, ქვიზებსა და განმავითარებელ დავალებებზე. პლატფორმა უზრუნველყოფს ოპერატიულ უკუკავშირს და შეფასების პროცესის მართვას, რაც ზრდის სწავლის ეფექტურობას და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციას შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფა, სადემონსტრაციო ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ინტერნეტთან წვდომა და ჯგუფური სამუშაო სივრცეები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ პრაქტიკული უნარები, მიიღონ გამოცდილება რეალურ პროექტებზე და იყვნენ მზად კონკურენტუნარიანი დასაქმებისთვის.

პროფესიული მასწავლებლები მუდმივად მონაწილეობენ გადამზადებებსა და ტრენინგებში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ მოთავსებას თანამედროვე ტენდენციებთან და დარგის სტანდარტებთან შესაბამისობაში. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს პროგრამის ხარისხს, ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს და ხელს უწყობს პროფესიული უნარების მაქსიმალურად ეფექტურ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დანართით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელიც მოიცავს მუხლს 24 – „შეფასების პროცესის აკომოდაცია ან სტანდარტული პროცედურის ცვლილება“.

მუხლი 24-ის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება შეფასების პროცესში ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათზე მორგებულ, მოქნილ მიდგომას.

დადგენილი წესის შესაბამისად, სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შეფასების პროცესის აკომოდაცია, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტებისა და პროცედურების ადაპტირებას სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სტუდენტის ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას.

ამასთან, აკომოდაციის განხორციელება ხდება იმგვარად, რომ სრულად დაცული იყოს კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობასა და სანდოობას.

პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რომელთა თანხმობითა და ზედამხედველობით ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. აკომოდაციის თითოეული შემთხვევა ფორმდება წერილობით და წარედგინება აკადემიის დირექტორს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

შედეგად, დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკა ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და თანაბარ შესაძლებლობებს სწავლის შედეგების ობიექტურად წარმოსაჩენად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს „მსოფლიო განათლების აკადემია“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო, სტრუქტურირებულ და კომფორტულ სასწავლო გარემოს, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასწრებითი, ისე დისტანციური ფორმატით განხორციელებადი სწავლების დროს. სტუდენტების უსაფრთხოება და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა ითვალისწინებს როგორც ფიზიკურ სივრცეებს – A და B ტიპის სასწავლო ოთახებს, ისე ელექტრონულ პლატფორმებს და ტექნოლოგიურ რესურსებს, რომლებიც გამოყენებულია სწავლების პროცესში.

დისტანციური სწავლებისას, პლატფორმა Portal.weaedu.ge უზრუნველყოფს სტუდენტთა პირადი მონაცემების, საკითის და ნამუშევრების უსაფრთხოებას, მათ შორის დაშიფრულ შენახვას და შეზღუდულ წვდომას უფლებამოსილი პირებისთვის. პლატფორმის ფუნქციონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ნამუშევრების დაცვას არასანქცირებული ცვლილებებისგან, სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის უსაფრთხო ურთიერთქმედებას, ხოლო ელექტრონული არქივის სისტემა ინარჩუნებს ყველა საგანმანათლებლო რესურსსა და მონაცემს ხელმისაწვდომს მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის განსაზღვრული ვადით.

ასევე, უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფა მოიცავს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების კამპანიას უსაფრთხო გამოყენების წესების შესახებ, რაც ზრდის სტუდენტთა პასუხისმგებლობასა და კონცენტრაციას სასწავლო პროცესზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ციფრულ გარემოში სტუდენტთა მონაცემთა დაცვის მაღალ სტანდარტებს, რაც არის მნიშვნელოვანი პირადი ინფორმაციის, სასწავლო ნამუშევრების და შეფასების შედეგების მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით-შეფასდა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" პაკეტი;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმეები;
- შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის" 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი",
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში" 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის" (მუხლები 10, 11 და 12) ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში შეფასების ინსტრუმენტების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სისტემურად ორგანიზებული ვალიდაციის მექანიზმის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დადგენილი რეგულაციების მიხედვით, ყველა შეფასების ინსტრუმენტი ექვემდებარება სავალდებულო ვალიდაციას, რაც წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს. ვალიდაციის პროცესში მოწმდება შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, მისი ვალიდურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, რაც უზრუნველყოფს, რომ შეფასება რეალურად ასახავდეს სტუდენტის მიერ მიღწეულ შედეგებს.

ამასთან, დაწესებულებაში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების რეგულარული განახლების მექანიზმიც. ცვლილებების ინიცირება შესაძლებელია სხვადასხვა პირის მიერ (მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სხვ.), ხოლო ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში ინსტრუმენტი ხელახლა გადის ვალიდაციის პროცესს, რაც უზრუნველყოფს მისი მუდმივი გაუმჯობესებისა და შესაბამისობის შენარჩუნებას.

ვალიდაციის პროცედურა მკაფიოდ რეგლამენტირებულია: პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში დარგის სპეციალისტი; ვალიდაცია ხორციელდება განსაზღვრულ ვადებში; გამოიყენება სტანდარტიზებული ვალიდაციის კითხვარი; ხოლო საბოლოოდ მხოლოდ ის შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება, რომლებიც აკმაყოფილებს ყველა დადგენილ კრიტერიუმს.

გარდა ამისა, უზრუნველყოფილია პროცესის დოკუმენტირება და მიკვლევადობა (ვალიდაციის თარიღის მითითება, დოკუმენტების შენახვა), რაც ზრდის სისტემის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

შედეგად, დაწესებულებაში დანერგილი ვალიდაციის, განახლებისა და კონტროლის მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ხარისხს, სანდოობასა და შესაბამისობას სწავლის შედეგებთან, რაც წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების მნიშვნელოვან წინაპირობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური-შეფასდა შესაბამისად;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის წესის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის, ვალიდურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

დაწესებულებაში ვერიფიკაცია ხორციელდება სისტემურად ორგანიზებული პროცესის ფარგლებში, რომელიც მოიცავს შეფასების წინარე, მიმდინარე და შემდგომ ეტაპებს. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც შეფასების ინსტრუმენტების, ასევე შეფასების პროცესისა და მიღებული მტკიცებულებების ყოვლისმომცველ შემოწმებას.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართულია მრავალსუბიექტიანი ჯგუფი (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, შიდა და გარე ვერიფიკატორები), რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და კომპეტენტურობას. ასევე დაცულია დამოუკიდებლობის პრინციპი, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ზრდის შედეგების სანდოობას.

დამატებით, ვერიფიკაციის ფარგლებში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების, სტუდენტთა ნამუშევრებისა და შეფასების პრაქტიკის მონიტორინგი, ხდება უკუკავშირის მიწოდება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება. პროცესის შედეგები დოკუმენტირდება, მუშავდება ანგარიშები და იგეგმება შემდგომი ქმედებები, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

შედეგად, დაწესებულებაში დანერგილი ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ხარისხის მუდმივ კონტროლსა და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების ობიექტურ, სამართლიან და სანდო შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს-შეფასდა შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ (მუხლები 13 და 14) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, სტრუქტურირებულ და ხარისხის კონტროლზე ორიენტირებულ მიდგომას.

შეფასება ეყრდნობა მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ვალიდურია, ავთენტურია, ტრანსფერული და საკმარისია სწავლის შედეგების დადასტურებისთვის. ყველა შექმნილი შეფასების მტკიცებულება ინახება **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით და აკადემიის წესებით ან რჩება საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. რას შეეხება უწყისებს ინახება უვადოდ.

აღრიცხვის პროცესში მტკიცებულებები შეჰყავთ სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს მათ იდენტიფიცირებადობას, მიკვლევადობას და დაცულობას. საჭიროების შემთხვევაში, მატერიალური მტკიცებულებები იდგინება ელექტრონულ ფორმატში, შემოწმდება შესაბამისობა და ხარისხი, ხოლო ნდობის დადასტურების შემდეგ მატერიალური ფორმა ნადგურდება.

შედეგად, აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და პროფესიული სტუდენტის მიღწეული შედეგების სრულფასოვან დოკუმენტირებას, **მტკიცებულებების 3-წლიან შენახვის ვადის გათვალისწინებით**.

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“, აღნიშნულ წესი ითვალსიწინებს „მუხლი25. შეფასების შედეგების მონიტორინგი“. მოცემული მუხლის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ:პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები სისტემატურად მონიტორინგდება და სასწავლო წლის ბოლოს სრულად ანალიზდება. ანალიზი ეფუძნება:

- პირველ მცდელობაზე დადასტურებულ სწავლების შედეგებს;
- განმეორებითი შეფასებების რაოდენობას;
- პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლებს.

მონაცემები გამოყენებულია შემდეგი მიმართულებებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება;
2. მოდულების რიგითობის ოპტიმიზაცია;
3. სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა;
4. საგანმანათლებლო რესურსების განახლება.

ანალიზის პროცესს ახორციელებს **ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი**, შედეგები წარდგენილია აკადემიის დირექტორს და განიხილება **მმართველი საბჭოს სხდომაზე**. მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება და განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ეფექტურ და მუდმივ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით-შეფასდა შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

შპს „მსოფლიო განათლების აკადემია“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების სისტემატურ მონიტორინგს და ანალიზს, რაც წარმოადგენს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. შეფასების შედეგების მონიტორინგი (მუხლი 25.1–25.7) ითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტთა პირველ მცდელობაზე მიღწეული შედეგების, არამედ განმეორებითი შეფასების, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლების მუდმივ თვალყურის დევნებას.

შეფასების შედეგების ანალიზი სრულდება სასწავლო წლის ბოლოს, რის შედეგადაც აკადემია იღებს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ეფექტიანობის, სწავლების მეთოდების შესაბამისობისა და სასწავლო რესურსების გამოყენების ხარისხის ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება პროგრამის მოდულების რიგითობის, სასწავლო მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტებისა და საგანმანათლებლო რესურსების ოპტიმიზაციისთვის, რაც პირდაპირ ზრდის პროფესიული სტუდენტების აკადემიურ წინსვლასა და დასაქმების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ანალიზის პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს, შედეგების ლოგიკურ პრეზენტაციას და შესაბამისი შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვას. მიღებული ინფორმაცია წარმოდგენილია აკადემიის დირექტორისთვის და განიხილება მმართველი საბჭოს სხდომაზე, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სტრატეგიულ გათვალისწინებას და სწავლის პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

შესაბამისად, შეფასების შედეგები სისტემატურად გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის, სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისთვის და სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის, რაც ადასტურებს აკადემიის მიზანმიმართულ, ხარისხზე ორიენტირებულ და შედეგზე დაფუძნებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის-შეფასდა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის წესი“
- ინტერვიურება;

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

თარიღი
15.04.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: